საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№252 2016 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1022 განკარგულებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს სოლიდარობის ფონდის წესდების“ მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

ა) სამეთვალყურეო საბჭოს მუდმივი წევრები:

დავით სერგეენკო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ნოდარ ხადური - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

დიმიტრი ქუმსიშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;

მიხეილ ჯანელიძე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

მიხეილ გიორგაძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;

ნინო კობახიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს არამუდმივი წევრები:

დავით ნარმანია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

გიორგი ჭირაქაძე - ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი;

არჩილ კონცელიძე - „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი;

თეა ლორთქიფანიძე - „ტერა ბანკის“ გენერალური დირექტორი.

2. განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაზე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე პირთა შემდეგი შემადგენლობა:

ნილს სკოტი - გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში;

პასკალ მენიე - საფრანგეთის ელჩი საქართველოში.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს სოლიდარობის

ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №290 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი